

შპს „გეოლოგიური კვლევის ცენტრი“

2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	კომ.	31.12.20	31.12.19
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები	3	145,036.42	177,643.33
სესხები და ინვესტიციები	4	12,420,494.67	10,050,018.55
		12,565,531.09	10,227,661.88
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მარაგები	5	303,558.97	306,037.62
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	18,464,460.07	16,157,823.36
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	32,939.78	5,284.76
		18,800,958.82	16,469,145.74
		31,366,489.91	26,696,807.62
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		(7,103,232.75)	(3,422,088.13)
		(7,103,232.75)	(3,422,088.13)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	8	38,453,125.60	30,011,975.71
		38,453,125.60	30,011,975.71
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	16,597.06	106,920.04
		16,597.06	106,920.04
		31,366,489.91	26,696,807.62

დირექტორი

ბ. თევდორაძე

ბუღალტერი

ნ. ველთაური



სრული შემოსავლების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	კომ.	2020	2019
მოგება/(ზარალი) სამეურნეო ოპერაციებიდან			
ამონაგები მომსახურებიდან		-	1,419,487.68
მომსახურების თვითღირებულება		-	(818,689.51)
სხვა შემოსავლები	10	856,227.61	759,670.28
ადმინისტრაციული ხარჯები		(646,200.63)	(412,069.92)
საპროცენტო ხარჯები		(2,605,373.83)	(2,278,673.85)
მოგება დაბეგვრამდე		(2,395,346.85)	(1,330,275.32)
სხვა სრული შემოსავლები			
წმინდა საკურსო სხვაობა		(1,284,524.88)	(296,691.91)
		(1,284,524.88)	(296,691.91)
მოგების გადასახადი		(1,272.89)	(5,368.95)
წმინდა მოგება/(ზარალი) სამეურნეო ოპერაციებიდან		(3,681,144.62)	(1,632,336.18)

დირექტორი

ბ. თევდორაძე



ბუღალტერი

ნ. ველთაური

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გეოლოგიური კვლევის ცენტრი“ რეგისტრირებულია 2014 წლის 19 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის 14^ა, ბინა 21. მისი ძირითადი საქმიანობაა გეოლოგიური კვლევა ძიება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან ან/და მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ოფისის აღჭურვილობა 20 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 20 პროცენტი
- ავეჯი და ინვენტარი 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები 20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. წმინდა ფიქსირებული და არაფიქსირებული აქტივები

	31.12.2019	მიღება/(გასვლა)	31.12.2020
ისტორიული ღირებულება			
მანქანა დანადგარები	108,323.62	-	108,323.62
ოფისის აღჭურვილობა	82,767.59	397.46	83,165.05
ავეჯი და ინვენტარი	15,425.58	200.00	15,625.58
სატრანსპორტო საშუალებები	140,206.63	-	140,206.63
არამატერიალური აქტივები	98,411.45	-	98,411.45
	445,134.87	597.46	445,732.33
აკუმულირებული ცვეთა			
მანქანა დანადგარები	(67,618.93)	(8,140.94)	(75,759.87)
ოფისის აღჭურვილობა	(47,815.34)	(7,023.57)	(54,838.91)
ავეჯი და ინვენტარი	(9,738.98)	(1,154.17)	(10,893.15)
სატრანსპორტო საშუალებები	(91,392.29)	(9,762.87)	(101,155.16)
არამატერიალური აქტივები	(50,926.00)	(7,122.82)	(58,048.82)
	(267,491.54)	(33,204.37)	(300,695.91)
საბალანსო ღირებულება			
მანქანა დანადგარები	40,704.69	-	32,563.75
ოფისის აღჭურვილობა	34,952.25	-	28,326.14
ავეჯი და ინვენტარი	5,686.60	-	4,732.43
სატრანსპორტო საშუალებები	48,814.34	-	39,051.47
არამატერიალური აქტივები	47,485.45	-	40,362.63
	177,643.33	-	145,036.42

4. სესხები და ინვესტიციები

ინვესტიციები მოიცავს უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებს. გაცემულ სესხებზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით.

	31.12.2020	31.12.2019
გაცემული სესხები	8,012,164.24	6,974,729.26
მისაღები პროცენტები	4,408,330.43	3,075,289.29
	12,420,494.67	10,050,018.55

5. სასაქონლო მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
საქონელი	301,941.93	301,941.93
სხვა მარაგები	1,617.04	4,095.69
	303,558.97	306,037.62

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	18,459,041.64	16,150,423.58
გადასახადები	5,418.43	7,399.78
	18,464,460.07	16,157,823.36

7. ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული ბანკში	32,939.78	5,284.76
	32,939.78	5,284.76

8. სესხები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან სესხს, რომელიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში. პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად, მარტივი პროცენტის პრინციპით.

	31.12.2020	31.12.2019
მიღებული სესხები	27,384,512.09	23,266,559.34
გადასხდელი პროცენტები	11,068,613.51	6,745,416.37
	38,453,125.60	30,011,975.71

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ვალდებულებები მომწოდებიდან	-	72,453.29
მიღებული სესხები	16,597.06	34,466.75
	16,597.06	106,920.04

10. სხვა შემოსავლები

	2020	2019
საპროცენტები შემოსავლები	840,228.07	757,694.98
სხვა შემოსავალი	15,999.54	1,975.30
	856,227.61	759,670.28